2022 წელს განხორციელებული დეკლარაციების

მონიტორინგის შედეგების ანგარიში

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო 2017 წლიდან ახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც მოწმდება კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული თანამდებობის პირების მიერ ქონებრივ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სიზუსტე და სისრულე.

2022 წელს, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, ბიუროს მიერ გამოცხადებულ მოწვევაზე, 2021 წელს სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმოადგინა განაცხადი, ხოლო აკადემიური წრის არცერთ წარმომადგენელს არ შემოუტანია განაცხადი, რის გამოც კომისია ვერ შეიქმნა და შესაბამისად, შემოწმებას დაექვემდებარა მხოლოდ დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული და დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოთხოვნილი თანამდებობის პირების დეკლარაციები.

კერძოდ, შერჩეულ თანამდებობის პირთა რაოდენობამ შეადგინა სულ 316 თანამდებობის პირი, რაც არის 5% ბაზაში დაცულ 6320 დეკლარაციიდან. ასევე, შესამოწმებელ დეკლარანტთა სიას დაემატა 61 თანამდებობის პირი, რომლებიც სისტემაში აისახა წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, 2022 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 377. მათ შორის, პარლამენტის წევრი - 39 (6 დადებითი, 27 ჯარიმა, 3 გაფრთხილება, 3 შეწყდა), საქართველოს მინისტრები და მინისტრის მოადგილეები - 6 (4 დადებითი, 1 ჯარიმა, 1 გაფრთხილება), აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მინისტრის მოადგილეები - 1 (1 დადებითი), აფხაზეთის და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - 3 (2 დადებითი, 1 ჯარიმა), საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები - 21 (17 დადებითი, 1 გაფრთხილება, 3 შეწყდა), მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები - 131 (57 დადებითი, 23 გაფრთხილება, 47 ჯარიმა, 4 შეწყდა), სსიპ-ების ხელმძღვანელი პირები - 22 (9 დადებითი, 4 ჯარიმა, 2 გაფრთხილება, 7 შეწყდა), სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირები - 20 (7 დადებითი, 10 ჯარიმა, 3 შეწყდა), აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა თანამდებობის პირები - 134 (62 დადებითი, 46 ჯარიმა, 15 გაფრთხილება, 11 შეწყდა).

მონიტორინგის ფარგლებში სრულყოფილად იქნა შესწავლილი შერჩეულ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, მოხდა მათი შედარება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში დაცულ მონაცემებთან და თანამდებობის პირების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან, რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თითოეულ თანამდებობის პირზე ჩატარებული წარმოების ფარგლებში.

დეკლარაციების შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი დარღვევები შედარებით მსუბუქი ხარისხისაა წინა წლებში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებით, შემცირდა უარყოფითად შეფასებული დეკლარაციების რაოდენობა.

2022 წლის განმავლობაში შემოწმებული 377 თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციიდან: დადებითად შეფასდა 165 დეკლარაცია, დაჯარიმდა - 136 თანამდებობის პირი, გაფრთხილება მიეცა - 45 თანამდებობის პირს, მონიტორინგი შეწყდა - 31 თანამდებობის პირის დეკლარაციაზე, რის მიზეზსაც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მათი თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შერჩევამდე გასულია ერთ წელზე მეტი ვადა და არ წარმოადგენდნენ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს. ასევე, თანამდებობის პირების გარდაცვალების ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემდგომ საზღვარგარეთ მუდმივად ყოფნის ფაქტები.

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების პროცენტული გადანაწილება იხ. დიაგრამა 1.



დიაგრამა 1. მონიტორინგის შედეგები 377 დეკლარაციის შემოწმების შემდეგ

2022 წლის განმავლობაში უარყოფითად შეფასებული თანამდებობის პირების დეკლარაციების შეფასების კრიტერიუმები შემდეგნაირად გადანაწილდა - 181 უარყოფითად შეფასებული დეკლარაციიდან:

- 31%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;
- 65% შემთხვევებში არასწორად ან/და შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან/და გამორჩენილი იყო ძველი საბანკო ანგარიშები;
- 34% დეკლარაციაში არ იყო დადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა ან არ იყო მითითებული ძველი საწარმოები, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონიათ;
- 43% არ ქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დადეკლარირებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისათვის სავალდებულო ზღვარს;
- 61%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დადეკლარირების გამო;
- 78% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;
- 29% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.[1]

2022 წლის განმავლობაში დასაბუთებული განცხადების საფუძველზე შემოწმდა 61 თანამდებობის პირი (დადებითად შეფასდა 3 დეკლარაცია, დაჯარიმდა - 47 და გაფრთხილება მიეცა - 11 თანამდებობის პირს). (იხ. დიაგრამა 2).

[1] დეკლარაციათა უმეტეს ნაწილში ფიქსირდებოდა აღნიშნული დარღვევების ერთობლიობა და დეკლარაცია უარყოფითად ფასდებოდა მასში სხვადასხვა მონაცემის არასწორად დაფიქსირების გამო.



დიაგრამა 2. დასაბუთებული განცხადების საფუძველზე დაწყებული მონიტორინგის შედეგები.

შემთხვევითი შერჩევის სისტემით შერჩეული თანამდებობის პირებიდან შემოწმდა 316 დეკლარაცია, საიდანაც დადებითად შეფასდა - 162, დაჯარიმდა - 89, გაფრთხილდა - 34, წარმოება შეწყდა - 31 შემთხვევაში. ამასთანავე, 2022 წლის განამვლობაში შემოწმებულ თანამდებობის პირთა შორის მონიტორინგი განხორციელდა 27 საიდუმლო თანამდებობის პირზე, საიდანაც: დადებითად შეფასდა - 16, დაჯარიმდა - 10, გაფრთხილდა - 1. (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე დაწყებული მონიტორინგის შედეგები.

გენდერულ ჭრილში, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: მონიტორინგის პროცესში შემოწმდა 73 (19%) ქალი და 304 (81%) კაცი თანამდებობის პირი, საიდანაც ქალების შემთხვევაში დაჯარიმდა - 22 (30%), გაფრთხილდა - 6 (8%), დადებითად შეფასდა - 40 (55%) და წარმოება შეწყდა - 5 (7%) შემთხვევაში, ხოლო კაცების შემთხვევაში დაჯარიმდა - 114 (37%), გაფრთხილდა - 39 (13%), დადებითად შეფასდა - 125 (41%), წარმოება შეწყდა - 26 (9%) შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულია შემოწმებული დეკლარაციების გენდერულ ჭრილში პროცენტული გადანაწილება (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4. შემოწმებული დეკლარაციების გენდერულ ჭრილში პროცენტული გადანაწილება

2022 წლის მონიტორინგმა აჩვენა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგის სფეროში პოზიტიური შედეგი გამოიღო, რასაც მოწმობს ციფრებიც. კერძოდ, 2017-2018 წლების მონიტორინგის შედეგად უარყოფითად შეფასდა შემოწმებულ დეკლარაციათა 80%, ხოლო 2019-2021 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიწია საშუალოდ 55%-მდე. რაც შეეხება 2021-2022 წლების შედეგების შედარებას, 2022 წელს დაჯარიმებულ თანამდებობის პირთა რაოდენობა 2021 წელთან შედარებით 44%-დან შემცირდა 36%-მდე, ხოლო დადებითად შეფასებული დეკლარაციების და გაფრთხილების პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 1%-ით. (იხ. დიაგრამა 5).



დიაგრამა 5. დეკლარაციების მონიტორინგის შდეგების შედარება 2021-2022 წლების მიხედვით.

მონიტორინგის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ დადებითად შეფასებულ თანამდებობის პირთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც განპირობებულია ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდით, დეკლარირების პროცესის მიმართ თანამდებობის პირების მიერ მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენით და სურვილით, სრულყოფილად და სწორად ასახონ დეკლარაციაში მათი ქონებრივი მონაცემები. უმეტეს შემთხვევაში დეკლარაციაში დაშვებული შეცდომა უკავშირდება თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მონაცემების არასწორად ასახვას, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია მათი მხრიდან დეკლარანტისთვის დაუზუსტებელი ინფორმაცის მიწოდებით.

ამ ეტაპზე ბიუროში შემოსულია განცხადება და მიმდინარეობს დასაბუთებულობის შემოწმება 26 თანამდებობის პირის დეკლარაციასთან დაკავშირებით, რომელთა მონიტორინგი განხორციელდება 2023 წელს.

2022 წელს ბიუროს მიერ გამოვლენილ იქნა თანამდებობრივი შეუთავსებლობის 70 შემთხვევის ფაქტი, რაზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. საიდანაც, 33 გამოვლინდა დასაბუთებული განცხადების, ხოლო 37 დეკლარაციების მონიტორინგის საფუძველზე.

2022 წლის 15 დეკემბერს შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევის მიზნით შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც 2023 წელს შესამოწმებლად შეარჩევს თანამდებობის პირების საერთო რაოდენობის 5 %. შესაბამისად, ბიუროს მიერ 2023 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი განხორციელდება შემთხვევითი შერჩევით, დამოუკიდებელი კომისიის მიერ და დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე შერჩეული თანამდებობის პირების მიმართ.

ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ოფისთან საქართველოში. კერძოდ, ევროკავშირის/ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროექტის ფარგლებში, ბიურო მიზნად ისახავს თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციების წარდგენისა და გადამოწმების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას და შედეგად, რეკომენდაციების შემუშავებას სისტემის დახვეწის მიზნით. ამ პროცესში ევროპის საბჭოს მიერ მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც ბიუროს მიერ დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ტექნიკური დოკუმენტი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ. აღნიშნული მიგნებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება დაიწყება 2023 წელს.

ასევე, 2023 წელს ბიუროს მიერ დაგეგმილია თანამდებობის პირების ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი თემატური აქტივობები.

დანართის სახით მოცემულია მონიტორინგის შედეგები თანამდებობის პირების მითითებით.